პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფი (ფაზა II)

განხორციელების ვადა: 15.08.2024 - 14.08.2027

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 2 732 800

მთლიანი ბიუჯეტი: € 2 732 800

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
NIRAS International Consulting

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/groups/642338200281272

პროექტის აღწერა:

ევროკაშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტი „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფი“ (ფაზა II), რომელიც ორგანიზაცია ნირასის მიერ ხორციელდება მუშაობს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების უზრუნველსაყოფად აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, რეფორმების, პოლიტიკისა და საკანონმდებლო საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველსაყოფად შემდეგ ექვს ქვეყანაში: სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში*, საქართველოში, მოლდოვის რესპუბლიკასა და უკრაინაში.
ჰელპდესკი უზრუნველყოფს ექსპერტულ დახმარებას, შესაძლებლობების განვითარებას, საგანმანათლებლო პროდუქტების შემუშავებას და მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მხარდაჭერას, რათა ხელი შეუწყოს გენდერულად სენსიტიურ რეფორმებს. ამ გზით ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფი აძლიერებს საჯარო ინსტიტუტების შესაძლებლობებს, უზრუნველყონ გენდერული პერსპექტივების ინტეგრაცია საჯარო პოლიტიკისა და რეფორმების პროცესში, ასევე ხელს უწყობს ქალთა უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ჩაერთონ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დიალოგში მთავრობებთან გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.

შენიშვნა*: ბელარუსში რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფი ბელარუსის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უწევს დახმარებას.

მოსალოდნელი შედეგები:

1. ინსტიტუციური გაძლიერება: საჯარო ინსტიტუტები აუმჯობესებენ თავიანთ შესაძლებლობებს, რათა მოახდინონ მოახდინონ გენდერული პერსპექტივების ინტეგრაცია საჯარო პოლიტიკისა და რეფორმების პროცესში.
2. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება: ქალთა უფლებების დამცველი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აძლიერებენ მათ შესაძლებლობას ჩაერთონ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დიალოგში მთავრობებთან.